მარინო სანუდო ტორსელი, ა. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში : XII-XVI საუკუნეთა ისტორიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე,- თბილისი, 2004.

მარინო სანუდო (1260-1338) - ვენეციელი გეოგრაფი, მოგზაური და სახელმწიფო მოღვაწე. მან იმოგზაურა მცირე აზიაში, სომხეთში, სირიაში, ეგვიპტეში. მარინო სანუდომ დაგვიტოვა ნაშრომი - *Liber secretorum fidelium crucis, ჯვრის მიმდევართა საიდუმლო წიგნი.*

ქართველების შესახებ

არიან კიდევ ქრისტიანები, რომელთაც ქართველები ეწოდებათ, რადგან წარმართთა წინააღმდეგ [ბრძოლაში] მათი მშველელი და მფარველი პატრონი წმინდა გიორგია და ყველა სხვა წმინდანზე უწინარესად განსაკუთრებული მოწიწებით თაყვანს სცემენ მას, როგორც მათ მედროშეს [დროშის მტვირთველს]. ისინი [ქართველები]არიან უაღრესად მამაცნი და გამბედავნი ბრძოლაში, მეტად მძლავრნი. ძლიერნი ურიცხვ თავდამსხმელთა წინააღმდეგ. სარკინოზებს, სპარსელებს, მიდიელებს, ასურელებს, რომელთა მოსაზღვრე მხარეებშიც ისინი ცხოვრობენ. მათი [ქართველების] დიდი შიში აქვთ. ურწმუნოებს, რომელთა შორის არიან მთლიანად მოქცეულნი, თავიანთი სამხედრო ექსპედიციების დრის დიდ ზიანს აყენებენ. საღვთო წიგნებში ბერძნული ენა აქვთ და საეკლესიო რიტუალებშიც ბერძნულ წესებს მისდევენ. მათი სასულიერო პირები მრგვალ ტონზურას ატარებენ, ხოლო საერონი - ოთხკუთხედს. ყოველთვის, როდესაც ისინი აქ მოდიან მაცხოვრის საფლავის მოსანახულებლად, წმინდა ქალაქში შემოდიან გაშლილი დროშით ბაჟის გადაუხდელად.

სარკინოზები ცდილობენ არ შეაწუხონ ისინი [ქართველები], რათა მათ, როდესაც სამშობლოში დაბრუნდებიან გაცილებით უარესი სამაგიერო არ გადაუხადონ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებს. ისინი [ქართველები] მეტად

განრისხებულები იყვნენ და დაემუქრნენ დამასკოს მთავარ კორადინს, რადგან მან მათ [ქართველების] თანხმობის გარეშე იერუსალიმის კედლები დაანგრია, როდესაც ლათინთა ერს ქალაქ დამიეტასათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული [ქართველები] ატარებენ ერთი წყრთის სიგრძე თმასა და წვერს, ხოლო თავზე ახურავთ მრგვალი, მაღალი ქუდები. მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა მსგავსად იარაღით ხელში მონაწილეობას იღებენ ბრძოლებში[1].

მთარგმნელი ა. თვარაძე



[1] გვ. 160-161.